ანგარიში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის გაწეული მუშაობის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად წარმოგიდგენთ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშს 2015 წლის 9 დეკემბრის მდგომარეობით.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე ხელმძღვანელობს რა „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მოთხოვნებით. დადგენილია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი – ქ.ბათუმის საკრებულოს აპარატის საქმისწარმოების განყოფილების მთავარი სპეციალისტი. დამტკიცებულია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხის-მგებელი პირის სამსახურებრივი ინსტრუქცია. თვალსაჩინო ადგილას სპეციალურ საინფორმაციო დაფაზე გამოკრულია პასუხისმგებელი პირის ვინაობა და საკონტაქტო ტელეფონები, სამსახურებრივი ინსტრუქცია და „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლების შესახებ" სამართლებრივი აქტის ქსეროასლი.

2015 წლის 9 დეკემბრის მდგომარეობით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისა და საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის სახელზე შემოსულია 86 წერილი საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დაცვით:

- გაცემულია ინფორმაციების ქსეროასლები, რომელთა რაოდენობა შეადგენს A4 ფორმატის ქაღალდის 227 გვერდს და შესაბამისად გადახდილია მოსაკრებელი თანხა 11 ლარი და 35 თეთრი.

- გაცემულია ინფორმაციების ელექტრონული ვერსიები დაინტერესებულ პირთა მიერ წარმოდგენილ ელექტრონულ ფოსტებზე.

- პერიოდულად ხდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამართ-ლებრივი აქტების განთავსება საკრებულოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.batumicc.ge.

საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის და გასაჩივ-რების არც ერთ ფაქტს არ ჰქონია ადგილი.